

**საქართველოს კანონი
საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ**

მუხლი 1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (პარლამენტის უწყებანი, 24.06.1997წ. №31, გვ.1) 183-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 183. უძრავ ნივთზე საკუთრების შეძენა
გარიგების საფუძველზე

1. უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

2. უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეძენის შემთხვევაში აუცილებელია უძრავი ნივთის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასის გადახდა განხორციელდეს საბანკო დაწესებულების მეშვეობით უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი